საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "23" 10 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1461/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 30 ივლისს N 68175/03 განაცხადით საჯარო სააქციო საზოგადოება „ობოლონის" წარმომადგენელმა დავით ზურაბიშვილმა (მის:ულ. ბაგატირსკაია, 3 ქ. კიევი) მოითხოვა გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 24151) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. გამოსახულებითი სასაქონლო ნიშანი (რეგ. N 24151) „საქპატენტში" რეგისტრირებულია 17.10.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 17.10.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 21-ე და 32-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოსახულებით სასაქონლო ნიშანზე (რეგ. N 24151) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N415), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 23.10.2013.

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; საჯარო სააქციო საზოგადოება „ობოლონის“ წარმომადგენელს დავით ზურაბიშვილს (მისამართი: ნაფარეულის ქ.18, ბ.7, 0179, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
"30" 10 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი:

რეგ. N 24151

მფლობელი: საჯარო სააქციო საზოგადოება „ობოლონ“

მისამართი: ულ. ბაგატირსკაია, 3 ქ. კიევი, უკრაინა

კლასი:

21 - ბოთლები; 32 - ლუდი; მინერალური და გაზიანი წყალი და სხვა უალკოჰოლო სასმელები; დასალევი წყალი.